სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14742402986724

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240621295

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2024 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 12ბ, მეორე სართული

ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდასამ მაისს მე, ნოტარიუსი საქართველოში ზაალი ზაქარაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი N12ბ-ში, მომმართა შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალო„ ს (ს/კ 205272863) აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე ნარსიამ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე ნარსიამ (დაბადებული: 01.05.1985 წ.დაბადების ადგილი- საქართველო, ზუგდიდი, პირადი N 19001033601, მისამართი: თბილისი ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N 16 ბ. 67-ში,)მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი არის შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალო„ ს (ს/კ 205272863) აღმასრულებელი დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23152692, 25/10/2023 13:04:27

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ბიზნეს ცენტრი საბურთალო“-ს *(ს/კ 205272863)* აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ნარსია *(პ/ნ 19001033601) (შემდგომში „მიმნდობი“)*, უფლებამოსილებას ანიჭებს:

გიორგი მიქელაძეს *(პ/ნ 01007011689) (შემდგომში „მინდობილი“)*, რათა მან იმოქმედოს მიმნდობის სახელით და განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

4. მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში; მიმნდობის სახელით გააფორმოს იჯარის ხელშეკრულებები და ავტოსადგომით სარგებლობის უფლების შესახებ ხელშეკრულებები მიმნდობის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე *(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.10.14.013.044)*, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. #34 / ალ. ყაზბეგის გამზ. #2ა.

5. მიმნდობი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს იჯარის ხელშეკრულებები სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში დადგენილი წესით, გააფორმოს შეთანხმებები მესამე პირებთან იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებების, დამატებების და შეწყვეტის შესახებ მიმნდობის საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, დაარეგისტრიროს აღნიშნული შეთანხმებები სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში დადგენილი წესით; იჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტის მიზნით განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

6. მინდობილი უფლებამოსილია გასცეს შესაბამისი თანხმობა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ, რათა მიმნდობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების *(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.10.14.013.044)* მისამართი - ქ. თბილისი, პეკინის გამზ. #34 / ალ. ყაზბეგის გამზ. #2ა, განისაზღვროს მესამე პირის იურიდიულ მისამართად.

7. მინდობილი უფლებამოსილია გააფორმოს ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულებები მოიჯარესთან/მოსარგებლესთან, იმ დავალიანებების გადახდევინების პირობების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს მიმნდობსა და მოიჯარეს/მოსარგებლეს შორის გაფორმებული იჯარის ან/და ავტოსადგომით სარგებლობის უფლების ხელშეკრულებებიდან.

8. მინდობილი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს ამ მინდობილობით გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა პირობები, უზრუნველყოს მათზე ხელმოწერა და განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელებისთვის.

მინდობილობა ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 *(ორი)* წლის ვადით.

მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საზღაური ოცდაათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა აგრეთვე დღგ ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის) და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის ხუთი ლარი თანახმად 39 მუხლისა დღგ-ს ჩათვლით. სულ გადახდილია საზღაური 40,40ლარი

ალექსანდრე ნარსია _____

ნოტარიუსი: _____

ზაალ ზაქარაშვილი

NOTARY ZAALI ZAKARASHVILI 01078116 GEORGIA